ეგვიპტის ძეგლები

1915

1. „ სოფელი ფოცხოვი" N 14.15.

[illegible]

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

29 ნოემბერს 1909 ∇

გამოვა ქართულ ენაზე იუმორისტული
და ლიტერატურული ალმანახი

„ᲓᲘᲐᲒᲚᲘᲐᲒᲘᲢᲝ“

კარიკატურებით და სურათებით, ალმანახი დაბეჭდილი იქნება ფერადის სურათებით. ელირება ყველგან ორ შაურათ.

საჭიროა პროვინციიდან სანდო კორესპონდენტები, მასალის გამოგზავნა შეიძლება ახლავე შემდეგის ადრესით: Тифлисъ, ред. „Закавказье“ Э. Д. Гурделадзе. მასალა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული ფასი, ჩაითვლება უფასოდ.

[illegible] 19296 №64
[illegible]

„ეროვნული მათრახი" 1915 წ.

— ავტორი: №1, 32, 33. სულ 3?

~~[illegible]~~

„ეროვნული მათრახი" გამოვიდა 1915 წ. 10 მაისს. ეს ფურცელი გამოიყენებოდა „ეროვნულ მათრახში". (ალბათ ავტორი [illegible] — [illegible])

1. თეატრი „ბაბილონი" (ბაბილონი, [illegible]) № 15

2. ჩვენი ვაჭარი ფეხოსანი № 6.

3. ვაჭრების [illegible] ეშმა [illegible] [illegible] № 13.

4. „ოფიცრის ფეხსაცმელი" № 14, 15. (№ 16 [illegible] „ოფიცრის ფეხსაცმელი")

5. ოფიციანტი ფეხოსანებისა ფეხსაცმელებიანი № [illegible] ~~№~~ 24.

6. [illegible] № 9

7. ჩარლეზტონი [illegible] № 12 (-ვაჭარი)

8. ვაჭარი და [illegible] (ფეხოსანი [illegible]) № 4.

9. [illegible] 7.

10. ჩიბუხი (თეატრალური) № 15, [illegible] 7.

(ชื่อ นายสมชาย ใจดี)





5684

ეროვნული ბიბლიოთეკა
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ცენტრი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили

არშაკ ბაბოვი. უჰ, რა უსაქმ[illegible] ეგ უპრავის მოსამსახურენი! ჩემგან მაინც აილონ მეგალითი!

ჩემი ცოდვები

რას ვერჩოდი ცენზორს?

ცრუ მორწმუნე არა ვარ მგონია, მაგრამ, ამ ბოლო დროს ვხედავ რომ სურდო ინფლუენციათ გადამექცა, ინფლუენცია მალარიათ, მალარიის ნიადაგზე ბრონხიტი გამიჩნდა, ბრონხიტმა პლევრიტი გამოიწვია და თუ ექიმებს დაუჯერებ მოსალოდნელია პლევრიტი ტუბერკულეზათ განვითარდეს და მაშასადამე ჩემი ამქვეყნიური არსებობა ხიფათში ჩაადგოს.

რატომ მოხდა ეს? რა არის ამის მიზეზი?

ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ მივმხდარვარ.

ნუ თუ ეს ცოდვების ბრალია?

ათასჯერ გადავავლე თვალი ჩემს განვლილ ცხოვრებას, ავწეწ-დაავწეწე ყოველი ჩემი სიტყვითი და საქმით ნამოქმედარი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მრავალგვარ დანაშაულობათა შორის უმეტესი ცენზორის წინაშე მიმიძღვის.

—

ის პატარა ჟურნალი, რომელსაც მე ვრედაქტორობდი, კვირაში ერთხელ გამოდიოდა და ათი თაბახის მასალას ძლივს იტევდა.

პეტრე უქმაძე სწორეთ ორშაბათ დილას შემოვიდა ჩემთან და რაღაც მძიმე, ქაღალდებში შეხვეული, შემოიტანა თან. მცირე მუსაიფის შემდეგ, (რომელიც დილის ექვსი საათიდან ნაშუადღევის ოთხ საათამდე გაგრძელდა) პეტრემ გაშალი ბარგი და ამოიღო ორი რვეული თითოეული ორასი-ორასი თაბახი ქაღალდისა. გულმა რაღაცა მიგრძნო და შევატყვე, რომ ფერი მეცვალა.

— ეს ჩემი ნაწარმოებია ბ-ნო ეშმაკო, რომლის გამოქვეყნება გადავსწყვიტე.

— აჰაა!

— მაგრამ საათური ვერ მოვუნახე შესაფერი. მიკვირს ამ საათურებს როგორ იგონებთ. პირველათ უფრო პატრიოტული საათური დავაწერე, სახელდობრ:

„სადაც ვშობილვარ კვეზრდილვარ,
და მისრულია ისარი,
სად მამა-ბაბა მეგულვის
იმათი კუბოს ფიცარი
ჯიხვი და ირმი მეეოფა
ხორცი ექვს მარილიანი“.

— ჩინებულია.

— კარგია, მაგრამ ეს საათური შინაარსს არ უდგება და ჩემმა ცოლმა მირჩია გამომეცვალა. სწორეთ იმისი რჩევით დავაწერე ეს სიტყვები:

„სამშობლო, დედის ძუძუი
არ კაიცვლების სხვასზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო
მირჩეენის ორთავ თვალზედა“.

— კარგია ესეც, მაგრამ...

— ჰო ვიცი, ვიცი. ეს ია ეკალაძის ლექსია და მის გაზეთს აწერია, მაგრამ ბიძაჩემმა მაინც დამიწუნა. ერთი სიტყვით ათიოდ საათური მაინც კი მექნება გამოცვლილი და ახლა ისევ უსათაუროდ არის. შინაარსი დღევანდელი ცხოვრებიდან არის აღებული და იმედია დაპიბეჭდავ.

— საათური არაფერია, სულაც უსათაუროდ შეიძლება დაიბეჭდოს, თუ კი ცენზორმა არ დაიჭირა ამ მხრივ მე შემიძლია დახმარების აღმოჩენა, ის ჩემი კარგი მეგობარი კაცია და თუ მეტის-მეტი მწვავე შინაარსით არ არის შეზავებული მოთხრობა, იმედი მაქვს ნებას დაგვრთავს.

— მასალაც კარგა ხანს გექნებათ. ჰონორარს ჩვენში არც ერთი რედაქცია არ იძლევა მაგრამ, მე მაინც უარს ვამბობ მასზე.

—

ბ-ნი უქმაძე საღამო ხანს წავიდა. დამიბარა, რომ დღეისწორს უთუოდ შემოიველის ამბის გასაგებათ. „ჭირს ადრე უნდა მოშორებაო“ იტყვიან და მეც მაშინვე ჩავუჯექი საქმეს:

„ბობოქრებულ ზღვის მთრთოლვარე ტალღების მწუსარე სახის კამოტეტეველებაში სეედის წითელი ძაფივით კამოჭრთოდა ბუშტერაზი სახე ცხრა თვალი ვეშახისა, რომლის.....“

ასე იწყებოდა მოთხრობა პეტრე უქმაძისა. მე მეისვე გადავფურცლე მე-65 გვერდი, სადაც ამოვიკითხე:

„შენ შემწყმ კაუმაძღრო და სისხლის მსმელო. შენი სტომაქის მოსაზღდობა მარტო ოტნების ფრთით შეიძლება კაცმა კასოფოს და სასდვარი დასდოს მის უძღეველ მადას კაუმაძღრობისას“.

სალოკი თითო უკვე მზათ იყო და ჩემ წინ მე-177 გვერდი გადაიშალა; იქ ეწერა:

„შენი გულისთვის მე დაგდეწ ბორკილს და როგორც მესა დავიქუსიდებ და მთელ სამყაროს, რომელსაც რომა დავვემონაგებ, დავემორჩილებ“.

მე-315 გვერდზე ავტორი სიტყვა-სიტყვით ასე სწერდა:

„სიტოცხლის დედა-ასრი მას სრულებით არ ეპიტნაგებოდა, როგორც ეოველდეგე საგანს მოკლებული ბერ-

ნახული ზეცის განგება და ისე უტქერდა მის ვითარებას საკუთარი თვალებით გამსჭვალული“.

მე-513 გვერდზე ბ-ნი პეტრე უქმაძე უფრო რელიგიოზურ კითხვას არკვევდა:

„ჩვენი სული ცხადია რომ იქით მიედრიკება, სადაც დასაბამი ცხოვრებისა საკვანეთ განსახივრებულა და ელის მის გარდაქმნის აუცილებელ გარდამოკვლენას“.

რვეულის უკანასკნელ (812) გვერდზე ნათქვამი იყო:

„ამით ვათავებ ამ ხანად მკითხველთან ბაასს და ჩვენი აზრების გარკვეულ მიმდინარეობას, რომლის დასაბუოებას შემდეგში არ დავიშურებთ“.

ოტა გულს მომეფონა, მძიმეთ ამოვიხვნეშე და რვეულები თაროზე შემოვაწყვე.

—

— ვგონებ ადრე შეგაწუხე, არა? მომებოდიშა ბ-ნი უქმაძე სწორეთ ერთი კვირის შემდეგ დილა ადრიან.

— არა უშავს რა, მე მაინც ადრე ვდგები.

— როგორ არის საქმე?

— საქმე...

— როგორ? ხიფათი ხომ არაფერია მოსალოდელი?

— მიკვირს თქვენი საქმე ბ-ნო პეტრე! თითონ არ იცოდეთ რა დროსა და რა პირობებში ცხოვრობთ.

— რა ამბავია, კაცო?

— საშიში რასაკვირველია არაფერია. ხელთწერები გადავარჩინე, მაგრამ თქვენ ალბათ თვალერის დევნებას დაგიწყებენ.

— ვინა, კაცო? რისთვის, რა დამიშავებია?

— კარგი ერთი თუ ხათრი გაქვთ! მე ხომ ბოხ არა ვარ. ცენზორს, როცა კითხვა დაიწყო ხელთნაწერისა, თმები ჰირდაპირ ყალყზე აუდგა და არც გასაკვირია, რაიცა ისე აშკარათ ამბობთ: ბობოქრებული ზღვის ტალღებში წითელი ძაფით გამოჭრითოდაო“ და სხვა. კიდევ ჩემი ხათრი იჭირა....

— საქმე ისაა, რომ რამოდენიმეჯერ მკითხა ტორის ვინაობა.

— ერთი დახედე მაგ...

— როცა მე-65 გვერდზე ამოიკითხა: „შენ მეკამ გაუმაძღარო და სისხლის მსმელოო“ პირპირ ცახცახი დაწყებია. მთელი კომიტეტი მოიცა რჩევისათვის.

— ოჰ ეგ რჯულზე ხელ აღებული! ეგა!...

— თქვენ მის ალაგას უარესს იზამდით, ბ-ნო ტრე. „შენი გულისთვის მე დავლეწ ბორკილებს დავიქუხილებო“ გიწერიათ იქ, ვგონებ მე-177 ერდზე. ამისთვის ხომ ციმბირში აგზავნიან და მე რომ წინასწარ არ მეჩვენებია მისთვის, ოცი წლის კატორღა აუცილებელი იყო.

— რისთვის, კაცო, რისთვის? ეს ხომ მოთავრობას არ ვხება და..

— აკი გითხარი, თქვენ შეიძლება სულ სხვა აზრი გქონდათ, მაგრამ იქ ისე გამოდის. ორი აზრი იქ შეუძლებელია.

— ორი სახარება გაუწყია იმასა და ორმა მეწყერმა ჩაიტანა.

— დამპირდა საჩივარს არ დავიწყებო, მაგრამ როცა მე-513 გვერდზე ნახა: „ჩვენი სული იქით მიედრიკება, სადაც დასაბამი ცხოვრებისა სავანედ განსახივრებულაო“ მუხლებზე ხელი დაიკრა და მიწის ფერი დაედო.

— ოი, მიწაშიაც მენახოს იგი მუხლებ მიმტვრეული. განა ვიფიქრებდი ამას!.

— ოტა ხანს მაინც მოშორდით ამ ქალაქს. თუ ნახევარ წელიწადში არაფერი იქნა, შემდეგ მგონია აღარ გაიხსენებენ. ხელნაწერს ოთახში ნუ გაიჩერებთ. რედაქციაში დავიტოვებდი, მაგრამ მეშინია არ გაგვჩხრიკონ. უმჯობესია თუ დასწვავთ.

— როგორ? უმალ თვალები ამოეწვება იმათ, ვიდრე მე ჩემს ხელნაწერს დავსწვავდე. თქვენ მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ ჩემს ოლთან არ წამოგცდეთ არაფერი.

— აბა რასა ბრძანებთ, ხუმრობა საქმე ხომ არ არის.

პეტრე უქმაძემ ამოიდო იღლიაში მისი ხელთნაწერები და ქურდული სიარულით შინისაკენ გასწია. ჯერ კიდევ კარებში არ იყო გასული რომ,

— უჰ იმათი .....

—

ფრიად უცენზურო სიტყვებით მოიხსენია ბ-ნი ცენზორის ახლო და შორე ნათესავები.

მე მაშინ სიკვდილზე არა ვფიქრობდი და ოდვებსაც არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი. დღეს კი, როცა უკანასკნელი საათი ცხვირზეა ჩამოკიდებული, ვნანობ და ვფიქრობ:

— რას ვერჩოდი მე პატივცემულსა და ძვირფას ცენზორს! რა დაუშავებია მას ჩემთვის, რომ ამდენი მელანი შევსძენ და ამდენი წყევლა-კრულვა გავუგზავნე.

— ჭეშმარიტათ შეუძლებელია ცხოვნება ჩემი.

ეშმაკი.



დეპეშები.

მისაბაძი მაგალითი!

თელავი. თელავის დიდმა ვაჭრებმა (გაბილოვმა, გარსომ, ვესკიას ბიჭ'ა, მეთევზე გიორგიმ) მაჭულის სიყვირულით გატაცებულებმა, რომ ომში წაყვანილთა ოჯახებს მამულები არ გაუფუჭდეთ დაადგინეს ფუთ შაბიაბანში 27 მანეთზე მეტი არ გამოართვან.

ნეიტრალიტეტის დარღვევა

თელავი. ვიღაც უცნობმა მილიციონერმა იერიში მიიტანა ბულვარის წინ გაჩერებულ მეეტლეზე. დაიჭრა ერთი ცხენი. მეეტლემ ნახევარ კილომეტრზე უკან დაიხია.

დამოკიდებულება მწვავდება.

თელავი. საკრებულოს დარბაზში დიპლომატიური სხდომის დროს ცნობილ დათიკოსა და მარტირუზას გერს მცირე შეტაკება მოუხდათ. უკანასკნელი მცირედ გაიკაწრა და მოთავსებულია მარტირუზას საავთმყოფოში. ინცინდენტის გამოკვლევა და შეჩერება კრენდილიჩს მიენდო.

დოღლარა.

დაგვეხმარეთ!

სად. აჯიქაბული. საშიშარი სიცხეები დაიჭირა. ამან გამოიწვია ერთ-ერთ სადგურის უფროსის თანაშემწის უზომო 'აღფრთოვანება. 'ის იერიშით მიდის სადგურის უკან მოსეირნე ხალხზე; ამ იერიშების დროს საგრძნობლად დააშავა ერთი მანდილოსანი. საჭიროა თოკი, ან მათრახი. დაგვეხმარეთ'.

მწვანეყვავილელი.

უცნაური სენი.

დ. აბაშა. ადგილობრივ ნოქრებსა და ქარგლებს თვალები დაუსივდათ. მიზეზათ ჟურნალ-გაზეთების კითხვას ასახელებენ. ვაჭრებმა ამის წინააღმდეგ სერიოზული ამხედრება გადასწყვიტეს.

ხულიგანი.

ტიგრან სტეპ. ნეიტრალიტეტს იცავს.

ჭიათურა. ერთი კვირაა, რაც ჩილინგაროვის შავი ქვის სარეცხი ქარხნის ნოქარს, ბ. ტიგრან სტეფანიჩს, მუშებისაგან, გაფიცვის დროს მოპოებული პირობები არ დაურღვევია. საერთოდ არ გამართლდა ხმები, ვითომც ის აქ მუშების წესიერ მუშაობას ხელს უშლიდეს, არამედ გამოირკვა, რომ ფეხს უშლის. და ძლიერაც.

საათის უკან დახევა.

ჭიათურა. თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, კილავართაში ჩილინგაროვის ე. წ. „მეფუთეებს", ბ. ბ. „ნასტუდენტარ", აბულაძეს, ქამუშაძეს, თამბაგარს, სხირტლაძეს და კომპანიას, მესამე დღეა, რაც თავის ხელ ქვეითი მუშები მოტყუებით (საათის უკან დაწევით) ზედმეტი არ უმუშავებიათ და არც არავის დათხოვა მოუსურვებიათ, ამის გამო...

ქათმები მაღაროში.

ჭიათურა. უმავთულო ტელეგრაფით იუწყებიან, რომ მუშათა ხელის სიმცირის გამო, 10 მაისიდან მუშები მიიღებიან „დოქოთ" და „უქათმოთ" მაღაროში. უკიდურეს შემთხვევაში დაშვებულია ხაჭაპურის მოტანა.

ლატარია.

ჭიათურა. ერთი კვირაა რაც „მეფუთეებს" ლატარიაზე ხელის მოწერა არ გაუმართავთ; ამბობენ, ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა, შედეგია დანტვრეული ავეჯეულობის გამოლევისაო.

ჯილდო.

ჭიათურა. საბჭოს კასირი, ბ. ნანეიშვილი წარდგენილ იქნა ეშმაკთა საბჭოში მათრახის კუდზე,*) „ერთგული სამსახურისათვის", რაც ჯამაგირების უწესრიგო დარიგებაში გამოიხატება... როგორც ამბობენ, ხსენებული ჯილდო მან უკვე მიიღო...

გაეშმაკებული.

*) საჭირო განმარტება.

საპატიო ნიშანი „**მათრახის კუდი**" არის სულ სამი ხარისხისაა: პირველი, მეორე და მესამე ხარისხისა. ამათში უფრო საპატიო რასაკვირველია **პირველი** ხარისხის ნიშანი ითვლება, რომლის კავალერი ჯერ საქართველოში არავინ გამხდარა. დაბალი წოდება ჯოჯოხეთისა ამ ხარისხის მიღებაზე ტყუილათ იოცნებებს, ვინაიდან იგი დანიშნული წარჩინებულთათვის.

მეორე ხარისხის ნიშანი „მათრახის კუდისა" უკვე ათიოდ ქართველსა აქვს დამსახურებული, რომელთაგან ორი ჩარჩია, ორი მემამულე; ოთხი პოლიციელი და ორიც ინტელიგენტი.

„მათრახის კუდი" მესამე ხარისხისა უმეტესად დემოკრატიულია. ჩვენს სამფლობელოში იგი დაიმსახურა თითქმის ყველამ ვინც საზოგადო ასპარეზზე ფეხი გამოსდგა. უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით, მათი რიცხვი 50000 აღემატება.

პიროვნებას, რომელსაც წარმოადგენენ აღნიშნულ წარჩინების ნიშნებზე, უნდა ჰქონდეს უტ

ყუარი მოწმობები, რომ მან **ათ გზის დაარღვია თითოეული მცნება მოსე წინასწარმეტყველისა.** ეს აუცილებელია მხოლოდ პირველი ხარისხის „მათრახის კუდისათვის“ და იცოდეს ყველამ, რომ ამ მხრივ არავითარი შედავათი არ შეიძლება.

რაიცა შეეხება ბ-ნ ნანეიშვილს, რომელიც მოხსენებულია ჭიაბურიდან მოწოდებულ ცნობებში, ჯერ ჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია, ვ-ნაიდან მისი ნამსახურობითი სია ერთობ მცირე და მარტივია.

მომავლისათვის ვაცნობთ ყოველთა, რომ შუამდგომლობის აღძრა „მათრახის კუდის“ ამა თუ იმ პირის მისაკუთვნებლათ სათანადო წესრიგი უნდა სწარმოებდეს. აქ ყოველივე ფორმალური მხარე დაცულ უნდა იქნას და მხოლოდ მაშინ მიეცემა საქმეს კანონიერი მსვლელობა.

ეშმაკი.

სასტიკი ბრძოლა.

დაბა სუჯუნა. ვ. ნოდიას საეგზამენო იერიში დროებით მინელდა. დაზიანდა მხოლოდ მესამე კორპუსი (იგულისხმეთ განყოფილება). ჩაჭრილთა რიცხვი დიდია. როგორც ამბობენ ბ-ნი ნოდია ამგვარ იერიშებს აგერ მე 25 წელიწადია რაც აწარმოებს და დღეს საგრძნობლათ გაუუმჯობესებია ბრძოლის იარაღები. მოწაფეთადმი გადასროლილი ყუმბარები უმეტეს შემთხვევაში უცხო სიტყვებით არის გატენილი და აზრ-შემხუთველი გავლენა აქვს.

ერიდეთ ებრაელებს.

დ. სუჯუნა. ბ-ნი ნოდია დაბის ქრისტიან მოწაფეთა შორის აგიტაციას ეწევა საღმრთო ომის სასარგებლოთ. მან განიზრახა აუკრძალოს ქრისტიან მოწაფეებს ებრაელ ამხანაგებთან სიარული და მით უმეტეს სურათის მიღება.

კეტი.



საქუა ტელეფონთან.

(ფუძეფნი ნ. გოტირიძეს).

— აჰა, ბარიშნა-ჯან! Эта ви? Зрасти, какъ паживаишь душа мой? какъ твой здоровія?... Что желаимъ?... Сичасъ, сичасъ душа мой!.. Дай ради Бохъ мнѣ телепонъ на мой таварищъ Гико Саркисичъ, толки паскарей пажалуста, очинъ болшой дѣла естъ—риба хочимъ кушатъ!.. Что!.. Ни знаишь Гико Саркисичъ?.. Что ти гаваришь, баришна-ჯან!.. Гико эта пери рибной таргавецъ! Ти развиево ни знаишь?.. А, номеръ хочишь!!! Нашто тибе номеръ!.. Ва не сердисъ да, сичасъ гаваримъ, сичасъ! Триста трицитъ осимъ! Паскарей давай да!..

გიქო, შენა ხარ, ბიჭო! ვა, ძლივს არ გიპოვე! ეს ვიღაც ბარიშნა იყო, მებნევა გიქოს ვერ ვიცნობო! ტო ყურუმსაღ, ვფიქრობ, გიქუას არ იცნობ მაშ ვიღას იცნობ მეთქი. სინამ შენი ტელეფონის ნომერი არ უთხარი, არ დამალაპარაკა შენთან!.. ვირზე შეჯდა, რაღა!.. სხვა, როგორა ხარ გიქო-ჯან წუხანდელის შემდეგ? ვაჰ! როგორ გავიჭყიპვეთ და!!! ი დალოცვილ მიკიჩას რა ღვინო აქვს და! კაცო, როგორ დამარეტიანა! სახლში ისე მოველ, რომ ვერა გავიგე რა. დღეს დილას გამამეღვიძა. ვხედავ, სადა ვარ, კაცო! თურმე შევსულვარ საქათმეში და იქ არ მომისვენია! ქათმები შიშისაგან სადოხტურონი გახდენ! შენც კარგად იცი ჩემი ხვრინვა: რომ არ დამიძყია ფაფის ქვაბივით თუხთუხი, შიშით გულები დახეთქიათ. ეს არაფერი მაგრამ, გიქო-ჯან, საღამოზე რომ არ ამოიარო, თუ ძმა ხარ, ორი-სამი გირვანქა ცოცხალი თევზი წამაიღე ჩვენსა: ამაღამ სტუმრად მეწვევიან ჩვენი მიკიჩა, სერგო, კარაპეტა და გარასიმე, შენც რაღა ხვეწნა გინდა, დარჩები რაღა. ერთი ლაზათიანად ვიქეიფოთ. ისეთი ღვინო მიყიდნია, რომ მზეს ეუბნება: მზეო, შენ ჩადი და შენს მაგივრად მე ამოვალ და გავაშუქებო... ჰა!.. ნუ გეშინია გიქო ჯან, სახლში ბიჭს გაგაყოლებ და ჩემსავით საქათმეში კი არ ამოჰყოფ თავსა, პირდაპირ შენს შუშანიკს ჩაუგორდები ლოგინში...

გუგული.

ქართველ მოღვაწეთა გუნდიდან.*)

მოღვაწე ქალი დარეჯან ყველიპარიაშვილისა**)

ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვიყავით და ბ-ნი გომართელის წერილმა ჟურნ. „განათლების“ მეოთხე ნომერში მოთავსებულმა საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ: ადამიანს თავისი ბედი სწორედ შუბლის ძვალზე აწერია. (თუ რასაკვირველია შუბლი მისთვის ჯერ-ჯერობით არავის გაუტეხია).

და განა მარტო ივ. გომართელის საყურადღებო წერილი?

მთელი ცხოვრება დარეჯან ღრუტუნაძისა (შემდგომად ყველიპარიაშვილისა) აშკარა საბუთია ამგვარი შეხედულობისა.

ჯერ კიდევ ოთხი წლის ადათის, (ცხონებულ ბებიას დარეჯანისას თამაშის დროს ისე მოსწონებოდა ზაქარია, რომ გულახდით ეთქვა თავისი უფროსი (6 წლ.) პოდრუგის თეკლესათვის:

— ნეტავი ისეთი ბედნიერი ვიქნებოდე, რომ ზაქარია ღრუტუნაძის ცოლი გავხდებოდეო.

და, როცა ეს წინასწარ, უზენაესის წესით განზრახული სურვილი აუხდა ბედნიერ ადათის, მუდამ მოიგონებდა ხოლმე ამ, ბავშობის დროინდელ ნატვრას, როცა კი შემთხვევა თეკლესთან შეჰყრიდა მას.

ადათისა და ზაქარიას მალე შეეძინათ ვაჟი ვარლამი, რომელმაც აკვნიდანვე მოჰკრა თვალი სანახავად მოსული შორეული ნათესავის ძუძუ მწოვარა ქალს ციბუს. ვარლამს დედისთვის არ გაუმხელია პატარა ციბუსადმი გულში ჩაჩრილი სიყვარული, მაგრამ, როცა იმავე ბედის წერის ბრმა ხელმა ისინი მოულოდნელათ შეჰყარა წიფლის გორის ხატობაში, უკვე საქმე გათავდა.

სწორეთ ჯვარის წერიდან მეცხრე წელიწადს შეეძინა ვარლამ ღრუტუნაძეს პატარა დარეჯანი. ის აკვანშიაც იმდენათ ლამაზი და მიმზიდველი იყო, რომ „კაცია ადამიანის“ კითხვით გატაცებულ ნათლია ნიკოს, არ შეეძლო მისთვის დარეჯანი არ ეწოდებია.

რაკი ნათლია გარდაეცვალა, დარეჯანმა მეთავისუფლება იგრძნო და, როცა კი სახელებლაპარაკი ჩამოვარდებოდა, ის მაშინვე მოიგონებდა ძვირფას ნიკოს და იტყოდა:

— სახელი წიგნიდან არასოდეს არ უნდა დარქვა კაცმა ნათლია ჩემიც პირდაპირ შეშლილიყო „ვეფხვის ტყაოსნის“ კითხვაზე და ნესტან-დარეჯანს პირდაპირ აღმერთებდა.

ამ სახელის წარმოთქმაში დარეჯანს ყველა ... ატყობდა ეშმაკობას. სიტყვა „ნესტანს“ იგი ყოველთვის ჩქარა და ჩუმათ იტყოდა, ხოლო „დარეჯანი“ ხმა მაღლა და მკაფიოდ ხოლმე. მაგრამ აბა ... მოატყუებდა ამით. პირში არავინ ელაპარაკებოდა, თორემ გულში ყველანი ერთსა და იმავეს ფიქრობდენ:

— გვატყუილე, გვატყუილე, ფიცი გვწამს, მაგრამ ბოლო გვაკვირვებსო.

როცა დარეჯანმა ფეხი აიდგა (და ეს მოხდა მესამე თვეზე) მყისვე გაეშურა მარწყვის მოსაკრეფათ სოფ. ხრიკიანის დასწვრივ მთის ფერდობზე. გზა მეტის-მეტად ოღრო-ჩოღრო და საშიში იყო, მაგრამ დარეჯანს ახლდენ მისივე ხნის და ზოგიერთ უფროსი ქალ-ვაჟნი, რომელთა შორის ერია სოფ. ხრიკიანში საადგილოთ მისული ვარდენ ყველიპარიაშვილის ვაჟი ლევანი, უკვე ცხრა თვისა და ... კვირის ყმაწვილი. მართალია არც ლევანს და ... უშეტეს არც დარეჯანს ლაპარაკი ჯერ არ შეეძლო, მაგრამ სიყვარული უსიტყვო გრძნობაა და ... გაზრდა დარეჯანიც ლევანთან ერთად თუნდაც ... ჯოხეთის საშინელებას არ შეუდრკებოდა.

დღესაც ლევანი მცველ ანგელოზათ თან ... და პატარა დარეჯანს; ყოველს მის ფეხის გადგმას თვალს ადევნებდა და გულწრფელად არ ... და როგორ მოქცეულიყო. როცა ბავშვების ... დანიშნულ ადგილს მიუახლოვდა და ის-ის მარწყვის კრეფას შესდგომოდა, ბუჩქიდან გამოშეშინებული თხა და წვეერების ცანცარით გაიშურა დარეჯანისაკენ. ლევანის შორს მჭვრეტელ თვალმა ეს მყისვე შენიშნა და შესძახა:

— ხა-ხა-ფი-ღუუ ბე-ბუ...

მოზრდილთა ენაზე ეს ნიშნავს: — დარ... ერიდე ცოფიანი თხა მორბის და მოსალოდნელი დიდი უბედურებაო. დარეჯანმა, რასაკვირველია, იგრძნო მომენტის სისაშინელე და წაიქცა, (... თხისათვის გზა მიეცა). როცა საფრთხე თავ...

---

*) ჩვენში ერთად ერთი ქართული ჟურნალი არსებობს, რომელმაც ყურადღება მიაქცია ყოველი დარგის მოღვაწეთ. პირველ ყოვლისა შეეხო სოფლის მოღვაწე მასწავლებელთ, ახლა კი ბ-ნი ივანე გომართელის მადლიანი კალამი შეუდგა ქართველ მოღვაწე ქალთა ნამსახურობის შედგენას. ჩვენ არ ვეთანხმებით ბ-ნ გომართელს მხოლოდ ერთში: ავტორი ანაწილებს ქართველობას ქალებათ და კაცებათ. ეს კი გამოიწვევს სქესობრივ შუღლს, რაიც მეტად მავნებელია დღევანდელ პირობებში. ესეც არ იყოს ახლანდელ პირობებში ერთობ ძნელი სათქმელია, თუ ვინ არის ქალი და ვინ კაცი, ვინ ცოლი და ვინ ქმარი.

**) დარეჯანის მოღვაწეობით ჩვენ იმიტომ ვიწყებთ ამ წერილებს, რომ მისი მამიდაშვილის მაჰლის ლუარსაბ ბეგიძის ბიოგრაფიის შედგენის დროს ხელში ჩაგვივარდა ფრიად საყურადღებო ცნობანი.

აცდენილ იქმნა, დარეჯანმა გრძნობიო შეხედა ლევანს და გულში გაიცლო:

— ნეტავი ლევანი ჩემი ქმარი იყოსო.

რასაკვირველია ამისი საბუთები ლუარსაბ ბეგიძის წერილებში არ აღმოჩენილა და არც შეიძლება აღმოჩენილიყო, ვინაიდან იმ დროს დარეჯანი სამი თვისა იყო, ხოლო ლევანი ცხრა თვისა და არა თუ წერა, ლაპარაკიც არ იცოდენ. რაც შეეხება გულში გავლებას, ეს უკვე აშკარაა, რაჯგან სხვაფრივ არ შეიძლება ყოფილიყო.

—

ისეთი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების აღწერის დროს, როგორიც ქ-ნი დარეჯანია, ყოველივე წვრილმანს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება ვისმესთვის ეგ სრულიად მოსაწყენი იყოს, მაგრამ ჩვენ ხომ მკითხველებისათვის არა ვწერთ ამას?

ჩვენ, როგორც ბ-ნ ივ. გომართელს, გვაინტერესებს მხოლოდ სიზოგადოებრივი ინტერესი. ამას ყველა დაკვირვებული მკითხველი ნათლათ დაინახავს და შეიძლება რამოდენიმეთ გაჟიანურებულმა წვრილმანებმა ჩვენი დაუფასებელი მოღვაწე ქალის დარეჯანის ცხოვრებიდან, ახლა გააბრაზოს მკითხველი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი მადლიერი დაგვრჩება.

(შემდეგი იქნება)

მორიელი.

უცხო ენა

(ამერუდი სცენა)

— აბა, ჩემო გოგია. ეს არი ახლა მევიტანე გაზეთი. თლა ცხელია! აბა ერთი ჩააჩხრიალე. ამ „ომენობის“ ამბავი გაგვაგებინე.

— კი ჩემო ალექსი. შე კაცო მაგაზე ადვილი რაღაა, კაცს სამინისტრო შკოლა გამითავებია, პოვრობაში გავზდილვარ და მაგას რავა ვერ წვეკითხავ.

— აბა შენ იცი!.. სერაფიონ, ბოშო, დაანებე თავი თერაპონთან მასლაათს, ყური დოუგდე გაზეთს. სიკოია, რავა ბოვშივით ბღლაძუნობ, დეეტიე შენს ტყავში აბა დეიწყე ჩემო გოგია ომის ამბავი.

— „ომის ამბები“. „უკანასკნელი ცნობით იტალია და რუმინია იცავენ ნეიტრალიტეტს“.

— ეყურებ, ბოშო! ჰაი გიდი იტალია, მარჯვე ქვეყანაა. მეცა ჩემო გოგია, ყველა კაი, მარა ეს ნეიტა-ტრალიტი რა ეშმაკია?

— ნეიტრალიტეტი გახლავს ჩემო სერაპიონ... ჰო და იმაზე გავჩერდი! „გერმანიის ჯარისაგან საფრანგეთის საზღვრის გადალახვა დემონსტრაციათ ჩაითვლება და დიდი მნიშვნელობა არაფერი ექნება, რადგან ტევტონთა კორპუსები დიდი ხნის ოპერაციებისთვინ არ არიან მომზადებულნი.

— უყურებ შენ, სუდშიაც ქე გადოუტანიათ საქმე. „აპელაციები“ გოუკეთებიათ, დემონსტრაცია და კორპუსები ალბად მოწმედ ეყოლებათ დასახული...

— გოგია ბოშო! ერთი ამიხსენი, რა ენაზე სწერენ მაგი გაზეთს? ვაი თუ ბერძნული იყოს ან თათრული.

— რას ამბობ, სიკოია, აგი ნამდვილი, სწორი ქართული ენაა.

— ბოშო და, რავარი ქართულია აგი, რაცხა ნეტალიტი, დემასტრია, აპელაცია, კორფუზი? სერაფინო, გაზეთს რომ ყიდულობ იმ სტანციაზე, კარგათ უთხარი ქართული გაზეთი მინდათქვა, თვარა, ა კაცო, ოფლში გეეიწურე მაგი ქაჯური სიტყვებით.

გუგული.

ახალი მეეტლეები

მოსალოდნელი ბირჟა თფილისის ქალაქსა.

შარადა

მარცვალი პირველი
ტყეში ძირს აგდია,
ხის არის ნაყოფი,
ღორს ძლიერ არგია.
მხოლოდ ჯერ მოსტეხეთ
მას კბილი პირველი
(ღორზე რომ ამხედრდეთ,
იმას არც კი ველი)
და ნაშთის იყავით
თქვენ ხელში მჭირველი.

ეხლა კი თეატრში
წამომყეთ, განახოთ:
არც ფარსი იქნება,
არც დრამათ დასახოთ,
არც თუ ვოდევილი,
არც თუ კომედია,
არც შარჟის სცენყოფა,
არცა ტრაგედია;
იქ სმენას დაგიტკბობსთ
მუსიკა დიადი,
ვითარცა მეტის მეტ
მშიერ კუჭს ხმიადი.

მიაწყვეთ ის მთლად მას,
რაც ხელში გიჭირათ,
და შემდეგ წამომყეთ
მდინარის ნაპირათ.

ჯაჭვებით შეკრული
წყალს თუ რამ მოჰქონდეს,
სანახავ სურათად
იქნებ არც მოგწონდეს,
მაგრამ ხის მასალა
ჩვენ ასე ჩამოგვდის...
ეხლა კი შარადას
ის ყოფნის ბოლომდის.

მიაწყეთ სრულათ მას,
რაც ხელში გეჭირათ,
და თუ ვერ ახსენით,
ხომ ყოფა გეტირათ!

დღეს ყველგან კარგია
იმისი აგება,
თუ ხალხსა ჭკუა აქვს
და საქმის გაგება.
თორემა ჩარჩებმა
გაივსეს ქესები,

არც შველის შარადა,
არც ტკბილი ლექსები!..

—

შარადის წყობაში
კოლოა პირველი,
„მათრახის“ ამ დარგის
ტაძარში მწირველი,
და ამ ჩემ შარადას
იგი რომ იხილავს,
ფრთები თუ არა აქვს,
წვერს ჩამოიქილავს:
გაწყრება, ვით მღვდელზე
სხვა მღვდელი ნაკურთხი,
სადავო როცაა
მათ შორის საკურთხი.
მაგრამ რა? სწყრებოდეს
კოლო და ბზუოდეს!..
კარგი არც ისაა,
მარტო ის სტყუოდეს!..

ონისიმე.



გაჯავრებული პეტრუსა.

დღევანდელი სიცოცხლე ჭიან ვაშლათ აღარა ღირს ქრისტეს მადლმა! ადამიანო, კაცმა ხმა როგორ არ ამოიღოს, ამისთანა ცეცხლი გინახავთ! დუქნის ბიჭს ვერ გაუჯავრდები ისე რომ აპეკუნი არ გამოუჩნდნენ. სიტყვაზე მუშტარი რომ ჩამივარდეს და ერთი ორი გროშის მოგება მინდოდეს, არავინ მანებებს. ხმა მაღლა ვერ დამილაპარაკნია. ერთი სიტყვით ისე ვერაფერი ვერ მიქნია, რომ ამ მჯღაბნელებმა არ გიიგონ! ნეტავ მართალი მაინც დაწერონ, ჯანდაბას იმათი თავი. ქინძისთავის ტოლა საქმეს ვირისტოლას გახდიან და ისე მოჰფენენ ქვეყნიერობაზე! იძახიან კორისპონდინტი ვართო. ძალიან გრძელ სახელს კი ირქმევენ, მაგრამ თავში ჩაჯ! სემიჭაში კიდევ დიდი გულია, ვინამ ამათ თავში. კაცო, გეგონება სიშჩიკებიაო, ისე დადიან დუქან-დუქან! თუ რამეს მოჰკრეს ყური ხელათ ტვინის ვასპალენია მოუვათ და ვინ იცის რას არ დასწერენ! გამიწყრა სურფგეურქის მადლი და ამას წინათ ერთ პირშავს ჩემი სეკრეტნი სლუჩიები არ უამბე! მერე ძმა კაცი იყო, ის ღვთისგან შაჩვენებული ისა. რას ვიფიქრებდი თუ შარაზე გამამიტანდა! კაცს შებედო გეგონება მედიცინსკის პრაფეცორიაო და რა ვიცოდი თუ თავში ბზე ეყრებოდა! მეც ვირი ვარ, რომ ყველაფერი ტოჭი-ტოჭი უამბე არა, ვინ მაძალიბდა! ამდგარა იმალაც და ეს ჩემი ნაამბობი მათრახში არ დაუწერია!!! დაუწერია, მაგრამ რა ნაირათ! ნეტა ნახეკარი მართალი იყოს ვინ პირძაღლი რამეს იტყოდა. საქვეყნოთ თავი მამჭრა რაღა იმ შაჩვენებულმა! მთელი ბაზარი ჩემზე ლაპარაკობს: „პეტრუს, ეს რა ოინები მოგსვლიაო!“ ნამდვილი ბაზრის მაიმუნი გამხადა რაღა! ჯერ ისეც თვალები სცვივათ ჩემს მეზობლებს, რომ ერთ ლუკმა პურსა ვჭამ და ეხლა ხომ აღდგომა გაუთენდათ რაღა! მაიტანენ იმ „მათრახის“ გაზეთს და ზედ ჩემი დუქნის წინ კითხულობენ, მითომ ჩემ გასაჯავრებლათ რაღა! კაცო, თუ დამწერს ჭკვა არა ჰქონდა, ეს ხალხი რაღამ გადარია რომ ასე უხარიანთ! ისეთ ამბავში არიან თითქოს ბაირამიაო. იძახიან ლედახტორი ჭკვიანი კაციაო. არა, ჭკვიანი რომ იყოს, ამისთანა პუსტიაკ აბ‍ბავს გაზეთში გაუშვებდა! ეხ, რაღა ბევრი გავაგძელო, რაც დამწერია ის ლედახტორი. ერთი იმისი დამბეჭდავი უნდა ვნახო სადმე რომ ქრისტიანული მასაჟი გაუკეთო, მაგრამ სად! გელაპარაკებით ჩემ დუქანში ვაჭრობის ნებას აღარ მაძლევენ რაღა! ეს მუშტარს დვაინოი გადაახდევინეო, ეს წონაში მოჭპარეო, ეს სასწორშიო. ერთი სიტყვით ტაინი პოლიციაზე უარესები არიან, უფლის მადლმა. ადამიანო, რა დიდი საქმეა რომ ამ კრიზისის დროს კაცმა არშინში ჩარექი აუსვას და გირვანქაში ჩეთვერი! რათა ძმაო, ყველაფერი ანგარიშითაა. რაც ხელსაყრელია იმას ვიზამ, რაც არ მომეწონება და არ მინდა. ამ ათი წლის წინათ, აი ბუნტები რომ იყო მაშინ ხომ კაცის სიკვდილი სამი კაპეიკი იყო. მეც შამეშინდა. ვიფიქრე არავინ მამკლას მეთქი და პახარონი კასაში ჩავეწერე მეკა და ჩემი სირანუშაც. ვსთქვი თუ გაუწყრათ სურფ სარკისი და მამკლეს, ეს ფული ხომ ჩემ ოჯახობას დარჩება მეთქი. გავიხედე მამდის პავესტკა: „პრისილაიტე დვა

რუბლი პედესიატ კაპეიკო, ზა ვას ი ზა ვაში ჟენაო". გაუგზავნე რას ვიზამდი მეორე კვირას კიდევ ისე, მესამეს, მეოთხეს და ერთი სიტვით ორი სამი წელიწადი თითქმის ყოველ კვირა ვიხდიდი. ვიფიქრე მე თუ ასე პასტაიანათ დვა პედესიატ უგზანე დუქნის ბარაქა გამამელევა მეთქი. ავდექი და ამოვეგზიკე კასიდან მეცა და სირანუშაც. გორში საწყალი მამაჩემის საფლავი ისე დატკეპნილია, გეგონება მასტავოის ტრამბოვკა დაურტყამთო. იმისთვის ქვა ვერ დამიდვია და მე აქ სხვისი მკვდრები ვმარხო! შავხედე ხელს არ მაძლევდა და თავი დავანებე კასას. ანგარიშითაა, ძმაო, ყველაფერი. მე როგორც ხელს მამცემს ისე გავყიდი საქონელს და ისე მოვიქცევი. არა, ვის რა დავა აქვს ჩემთან. არა, ჩასაწერი და სამათრახო რა მაქ, მაგრამ კაცს რო საქმე შამაელევა და ტვინის ქავილი აუტყდება კლაოზნიკობას უნდა მიჰყოს ხელი. ახლა მემუ-მ ქრება თუ „მათრახის" კარიკატურწკი კარტიკაში უნდა დაგხატოვო. ვიცი ეხლა გამიკეთებს ხუთ არშინიან ფეხებს, სამ საჟნიან ცხვირს და ვინ იცის იქნება თავიც ვირისა გამამაბას. დამხატოს, მაგრამ მერე ბაზარში გამოვლა აღარ უნდა! ჩემს დუქნის წინ ტროტროზე რომ გამოივლის, იცი რას უზამ! როგორც სატიკეორე თხას, ისე ამოვიღებ, ისე პეტრუზას სიყვესა ჰქონდეს შველა. დამაცადოს!

გოგია.



მოსაქნაბა

სამეგრელოდან.

ბიძია ეშმაკო' პირველი ჩემი წერილით, ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა გაუწყო, სამეგრელოდან ან უკეთ ვსთქვა ჯოჯოხეთიდან. სამეგრელოში შიმშილობა აღარ არის. თქვენი მონა, მათი დავალებით ვაცხადებ, რომ მეგრელებს განსაკუთთებით ზუგ. მაზრას, დახმარება აღარ ესაჭიროება. ასე რომ მეგრელებს, შიმშილობის წინააღმდეგ ახალი საკვები გამოუგონიათ — **ტყემალი**. მას ისე ეტანებიან, როგორც რაჭველები ხაშს.

მართალია ავდარია, არც სათესლე სიმინდი მოიპოვება, მაგრამ ამის შუამდგომლად ზუგდიდის მაზრიდან, სოფლიდან ორ-ორი სული, სულ 60 სული ცხვარია გაგზავნილი ილორის ეკლესიაში. ისინი უკვე წარუდგენ წმინდა გიორგის და დიდი პატივითაც მიუღია. თან ადმინისტრაციის წინაშე, შესაფერი შუამდგომლობა აღუძრავს. მთავრობა შეპირდა თურმე ავდრის შესახებ შესაფერი ზომების მიღებას, ხოლო, სათესლე სიმინდის ფასის სახით ოჯახს 3—3 მან. დაურიგებს, თუ კი ისინი, გლეხები, ამ ფულით ხუცის „დრამის ფულს" გადაიხდიან.

დ. ზუგდიდში ეშმაკის მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, „მამულიშვილთა ლეგიონები „გუცას" და „ლაღის" სისტემის წითელ ბოლოკით არიან შეიარაღებულნი. საშიშია.

პროვინციელი ჭინკა.

—

(აბაშის მხარე)

ჩვენი ეშმაკთა ჯარი მდინარე აბაშას მიადგა. 3 დღის გენერალური ბრძოლისა და ჩვენ მიერ ვირებით დესანტის გადასხმამ კვათანის კუნძულზე, მტრის ჯარზე, თავზარდამცემი პანიკა გამოიწვია. მეორე დღეს, 10 აპრილს, მცირე დანაკლისით მდინარის გადალახვა შევსძელით და ქალაქ აბაშის ციხე სიმაგრეებს შევესიეთ. შეიქნა უმაგალითო სისხლის ღვრა. მრავალ დაწესებულებებიდან ფრაპნარდის და ბაქარის ძლიერი აფეთქება მოისმა, რამაც ჩვენი მრავალი ჯარის კაცი იმსხვერპლა. ღამით შევაჩნიეთ მღ. თედორაძე ჰაეროპლანით თავს დაგვტრიალებდა და დრამის ფულებზე გაბრაზებული ამოხოცვას გვიპირობდა, მაგრამ მამა თედორაძე ჩვენ მიერ გასროლილ სიმინდის შრაპნელით ძირს დაეცა და სული განუტევა. მეორე დღეს მტრის მარჯვენა ფრთაში შევამჩნიეთ ადგილობრივი რკინის გზის მოლარე და მყისვე აუტეხეთ სროლა. მიუხედავათ მის მიერ ზედმეტ ორკაპიკიან და შაურიანების სროლისა, ვსძლიეთ და ხელთ ვიგდეთ. 21 აპრილს მტრის მთავარ სარდალი „ივან ზახა. რიჩი" მოვამწყდიეთ ერთ მთავარ-ციხეში, სიდანაც გვინდოდა ცოცხლათ ჩაგვეგდო ხელში და წმინდა მარხვის დარღვევისათვის დიდხანს გვეწამებია, მაგრამ რაღაც უცნაური ღალატისათვის, ერთმა მისმა შტაბის უფროსმა სანამ ციხეში შევიჭრებოდით, ახლათ გამოგონილ სამხედრო იარაღით 70 მაგარი წიხლით და ათიათასჯერ სახელმწიფოთა კონვენციის მიერ უარყოფილი და უსაშინელესი იარაღით

ოცხით, ისე მოზილა, რომ გარდა ერთათ ერთი სალაპარაკო ორგანოისა, ყველაფერი მკვდარი აღმოაჩნდა. ასე რომ ივან ზახარიჩი, როგორც საუკეთესო ქადაგი, ძევს ერთ ადგილზე და განუწყეტლივ ლაპარაკობს მომავალზე 22 აპრილს ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და მტრის თხრილები დაიჭირა. შუადღისას მეკუბოეთა რაზმს დაესხა ჩვენი ჯარი. მოისმა საზარელი კუბოებთა სროლის ხმა, დავანგრიეთ მეკუბოეთა 75 სახელოსნო, ტყვეთ ჩავიგდეთ 500 მეკუბოვე. დავანგრიეთ 10 ფურნე, ოცი სამიკიტნო, 30 ფარული სათამაშოები. საღამო დროს სროლა აგვიტეხეს ფოსტის მახლობლათ, გამუდრებით გვიშენდნენ, **ხლუსტებს,** ტუზებს, ათიანებს, ორიანებს და კამათლებს.

ჩვენი ჯარის დაუღალავმა ენერგიამ, ეს სიმაგრეც აიღო. ხელთ იგდო 17 ფრაპისტი, 20 ბაქარისტი, 30 ნარდისტი, 10 კონჩინისტი, და მრავალი სხვა.

23 აპრილს ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებაზე, მივიტანეთ იერიში. დიდი ზიანი მოგვაყენა ადგილობრივ სამკითხველოის ჟურნალ-გაზეთებმა, რომელნიც უზარმაზარი კეტებითა და ბოქლომებით აღმოჩნდენ შეიარაღებული. სხვათა შორის ერთ ჩვენ კორპუსთა კომანდერს შიგ შუბლში მოხვდა და ჭკუა მიწაზე დაინთხა. კოოპერატივი კი დროზე დაუცლიათ და საქონელი, როგორც გადმოგვცეს ტყვეებმა, პ. ვას. და ია. ერთად ინახება. ვცდილობთ ისინიც ჩავიგდოთ ხელში.

სათარხანი.

ს. ჭაგანიდან.*) (ნარდი-ბალქო).

ბატონო ჩვენო ეშმაკო,
გთხოვთ, რომ წამომყვეთ ჭაგანში;
აქ ნამეტნავათ იციან
„ნარდ-ბალქოს“ კაი თამაში.
მეც მიტომ გეხვეწებით
თქვენი მწვავე მათრახითა,
უცხუნო კარგად იგენსა
ვინც მხიარულობს „ბალქო-ნარდითა“.
სწორეთ მივიდეთ იმ დროსა,
როცა უჯდესკენ „ნარდ-კარტსა“,
მე რომ გითითო ეშმაკო
უცხუნე მაგრად იმასა...
გვყავს ერთი „მასწავლებელი“
ყყვარს ხანდახან „კონჩინა“,
უცხუნე მარდად იმასა
რომ სიმწარისგან მირბოდეს შინა,
კიდე გვყავს რამოდენიმე,
ნარდ-ბალქოს კაი მოხელე,
ყველას იმ დღეს ვერ მოვასწრებთ
გადავდოთ ისევ ხვალე.
დავერიოთ და უცხუნოთ
დალოცვილი მაგ მათრახი,
თუ ახდნესკენ, გაოცდესკენ
ჩაუკუბოთ პირს ბალახი.
ეხლა სალამი შენდა ეშმაკო
კარგზე კარგია მაგი მათრახი,
თუ ხელ მეორეთ დაიწყონ
ქე გაქვს მწ ავე გასალახი...

შევარდენი.



*) იბეჭდება უცვლელათ, რამეთუ გვსურს ავტორისა ენა, როგორც სრული გამომხატველი ჭაგნური კილოკავისა, შეენახოს ქართველ ლინგვისტებს.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი 1 მ. 30 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ 1908 –1909 წ.წ. თითო წიგნი 34 ნომერი 2 მ 50 კ., ორივე წიგნი მშვენიერი ყდით ეღირება—6 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 34 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინდა წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

ინტერვიუ

მგოსან ღვანკითელთან.

ვიცი, რომ ქვეყნად ავყია ხალხი ლეგიონია. ისიც ვიცი, რომ მათი მიზანი, ბედკრულ საქართველოს საუკეთესო შვილთა პოპულიარობის გაბიაბრუებაა. ისიც კარგად ვიცი, რომ ამ პირშავმა ხალხმა ბევრ სასიქადულო მოღვაწეს გაუთხარეს სიცოცხლითვე სამარე.

ხოლო, თუ ეს უმადურნი შვილნი საქართველოისა არც ჩვენ სიამაყეს, მგოსან **ღვანკითელს** დაინდობენ, და ისეთ ჭორს გაავრცელებდენ, როგორც მაგალითად მისი (ახობილი ლექსის*) რამოდენიმე ათასი ცალის კონდუქტორებისთვის გადაცემა, სადგურებში თითო შაურათ გასაიმასჭნებლათ, მითა ჟამში ვერ ვიფიქრებდი.

მართალია, მე ცოდვილსაც ქე დამებადა ცოტა ეჭვი, როდესაც ჩემი თვალით ვიხილე ამ ლექსებით მოვაკრე გვამი, მაგრამ მომაგონდა თუ არა საყვარელ მგოსნის გულმავიწყობა, მყისვე ეჭვი გამიქრა.

დიახ, მომაგონდა რომ ერთხელ ბრწყინვალე მგოსანმა სადგურ კერარიდან საჩხერეში მოგზაურობის დროს, გულმავიწყობა გაუფრთხილებლობით მატარებელში 14 **მოქმედებიანი დრამატიული პოემა დაჭკარგა****) **რომელთანაც შედარებით თურმე რა იყო არჩილიანი**?!

მომაგონდა კიდევ რომ ერთხელ ქართულ პოეზიის სიწმინდემ და სიდიდემ საკუთარ ლექსის ნაცვლად, ნაცნობებს, სხვისი ლექსი წაგვიკითხა, რასაკვირველია კიდევ ამ გულმავიწყობის გამო.

მომაგონდა ისიც, რომ ერთხელ სათაყვანებელმა მგოსანმა სწორედ ამ გულმავიწყობის გადამკიდე მთელი თბილისი უქუდოთ მოიარა.

მომაგონდა აგრეთვე ისიც რომ საკმაო რიცხვს ამ ლექსებისას, თვით მგოსანი დაატარებდა ჯიბით, ნაცნობ-უცნობთა შორის გასავრცელებლად.

ვინ მოსთვლის კიდევ რა არ მომაგონდა მაგრამ, რადგან ერთ გარკვეულ აზრს ვერ დავადექი, **ბაქო აღსტაფის შუა რკ. გზ. ყველა მოსამსახურეთა დავალებით**, გადავწყვიტე თვით მგოსანს ვხლებოდი და ამ მიზნით დავუკაკუნე კიდეც იმ სახლის კარებს, რომელსაც ერთ დროს ქართველი ერი „ვარდენისოულ“ სახლს დაარქმევს.

— მობრძანდით, მობრძანდით, წამოიძახა მგოსანმა, სწრაფად ზეზე წამოიჭრა ორივე ხელები ჩამჭიდა, მიმიყვანა და რბილ სავარძელში ჩამსვა. სხვა როგორ გიკითხო, როგორ, მეგობარო თომა თუ.... თუ.... მათე მგონი ა?? წარმოიდგინე სახელიც კი....

— მადლობას გწირავ, მგოსანო, ყურადღებისთვის მიგრამ ჩემი სახელი რომ დაგვიწყნიათ ეს კი აშკარაა, მე კი ...

— დიახ.. დიახ კიმოთე.. კიმოთე აბა რაგორ დამავიწყდა?! კიმოთეს ლეღვი მაინც რაღა ოხრობამ დამავიწყა?! გამაწყვეტინა მგოსანმა და თავის ღვთაებრივი თვალები იქვე დახორავებელ ძველის ძველ ჯერ კიდევ დაუჭრელ წიგნებს მიაპყრო....

ის იყო პირი გავაღე, მინდოდა მეთქვა რომ ჩემი სახელი კიმოთე კი არა კოტეა მეთქი, რომ მგოსანმა კვლავ გამაწყვეტინა,

— ოხხხ... რომ იცოდე მათ... კიმოთე რა გლახაა ჩემი მდგომარეობა ამ გულმავიწყობის გადამკიდე.

ხშირია ძმაო, ძრიელ ხშირი ისეთი შემთხვევები რომ მთელი კვირაობით საჭმლის ჭამაც კი მავიწყდება, საჭმელს ჯანი გავარდნია, შენ კარგად იცი ჩემო კირილე, რომ ჩემი სასმელ საჭმელი პოეზია და ქართველი ხალხის სამსახურია, მაგრამ უბედურებაც იმაშია რომ ეს რჯულზე ხელაღებული გულმავიწყობა, მთელი თავისი საშინელებით სწორედ აქ იჩენს ხოლმე თავს: აი მაგალითად წუხელის რა შემემთხვა:

გათენება ჯერ კიდევ შორს იყო, რომ საშინელმა წერის სურვილმა გამომაღვიძა. შენ ჩემო თედორე, შეიძლება არც იცოდე მუზის თვისებები. ის ოხერი შეიძლება მაშვინ შეგვარდეს თავში, როდესაც მოსვენებას გინდა მიეცე. კარგია, ვისაც შეუძლია იქვე ჩაჯდეს და ლექსი ან დრამა დასწეროს, მაგრამ რა ქნას იმ პოეტმა, რომელსაც არც თავი და არც კალამი არ ემორჩილება, თუ სადმე ზღვის პირად ან და უღრან ტყეში არ იმყოფება??..

რაღას ვიზამდი! წამოვდექი და მოვუსვი ამ შუალამისას ზღვისაკენ, გავენართხე მიწაზე, მოვისვი ჯიბეზე ხელი, მაგრამ რას ნახავ, კარანდაში სადაა. დამწუხრებული მოვედი სახლში, ვეცი სამწერლო იარაღს, მაგრამ დახე ამ ახალ უბედურებას, აქობამდე თავს ვიმტვრევ და ვეღარ მოვიგონე რის დაწერაც მინდოდა.

კაცო! ადამიანო! მე ვიცი ამის მიზეზი ისაა, რომ ჭერ ქვეშ ვიმყოფები, მაგრამ ღვთის გულის თვის მიპასუხე, ცერცეტაძე, ბოლოკაძე, ლაყიაშვილი, კუცა და სხვა ქუთათური სახელოვანი პოეტები, ხომ სულ კაბინეტებში სწერენ ლექსებს???

რატომ მე გამოვედი მაინც და მაინც ასეთი უბედური?!

ისიც საფიქრალია, რომ თუ ღმერთმა ქნა და

---

*) აკაკის გარდაცვალების გამო.

**) იხ. გაზეთ თემის განცხადება 1911 წელი.

ნადირებს გადვურჩი ამ ტყე ტყე სიარულის დროს, სადმე გავცივდები და უდროვოთ დავხუჭავ თვალებს?

— თვალების დახუჭვისაგან ღმერთმა დაგიფაროსთ, დიდო მგოსანო, აბა ასე როგორ მოიძულებს საქართველოს მუდამ მფარველი წმინდა ნინო —მივუგე მე.

— ეეეე... დავანებოთ თავი მაგაზე ლაპარაკს ჩემო თეოფილე,—წამოიძახა მგოსანმა როდესაც ტირილით გული იჯერა და ერთი ისეთი დაასლოკინა რომ გული დამითუთქა.

— ისა სჯობს თუ რამე იცი ახალი, სთქვა.

— ახალი აბა რა უნდა მოგახსენო, რომ თქვენი ყურადღების ღირსი იყოს! ხოლო რაც დღეს აღელვებს ქართველ ერს...

— რა აღელვებს ქართველ ერს, არ ვიცი??!

— აი, თქვენი უკანასკნელი ლექსის გარშემო ატეხილი აურ ზაური.

— არასფერი არ ვიცი!!

— ნუ თუ დაგავიწყდათ მგოსანო, თქვენ რომ ლექსი დასწერეთ აკაკის გარდაცვალების გამო.

— ადამიანო, გარკვევით სთქვი... რა ლექსი? რომელი აკაკის შესახებ დავწერე მე ლექსი??!

— აკაკი წერეთლის.

— რას ამბობ! ხომ არ გაგიჟდი!!! აკაკი ჯერ რამ მოკლა!!! შემყვირა მგოსანმა.

— აბა მაგას რას ბრძანებთ დიდო მგოსანო!! რასაკვირველია მოკვდა, ნუ თუ ის მაინც ალარ გახსოვთ რომ განსვენებულის ქელეხში კალმახის ხერხემლის ძვალმა კინალამ დაგახჩოთ?!?

— ااا. აკაკი... აკაკი.. დიახ... დიახ აკაკი ჩემი ცოლის ბიძა, უკაცრავად ბიძა კი არა ბებიის... მამის... დის წული, მოკვდა... დიახ მოკვდა და მე მის შესახებ იქვე სტამბაში, ნაჩქარევათ ლექსიც დავწერე... მერე რა??

— დიახ... დიახ... ამ ლექსის შესახებ მინდა ცოტა რამ მოგახსენო და გთხოვ მომისმინო.

— თუ ამ ლექსის გამოცემა გსურთ და პირობების გასაგებად მოსულხართ, მოგახსენებ რომ ეს ლექსი ჯერ დაწერილი არ მქონდა, ისე მივანიჭე გამოცემის უფლება მიხა გაჩეჩილაძეს.

— საყვარელო მგოსანო! ჩემი აქ მოსვლის მიზანია, მთელი ქართველი ერის სახელით გთხოვო გაგვაგებინო: „თქვენი ნებართვით არის თუ არა, ამ ლექსებით მატარებლებში და სადგურებში გამართული ვაჭრობა“?

— ჩემი ნებართვით?!! არა და ათას ჯერ არა. მე ჩემო ძამია, ჩემი ნაწარმოებებით რომ მევაჭრა მგონი ახლა მილიარდების პატრონი ვიქნებოდი.

— უთუოდ მოიპარეს იმ შეჩვენებულებმა,—წავილაპარაკე მე რომ, კარებში ლექსებით მოვაჭრე კონდუქტორმა შემოყო თავი და დაიძახა:

— ინებეთ გასპადინ ნაჩალნიკ, გუშინ ცოტა ნაკლები ვაჭრობა იყო და ცხრა შაურის გროში ფული ჩაუთვალა მგოსანს ხელში.

— ეს რა ფულია ბიჭო??! მრისხანეთ შესძახა მგოსანმა.

— თქვენი ლექსების გასპადინ ნაჩალნიკ, თქვენ რომ გადმომეცით...

— რა ქვიაა... გასა... ااا.. ხედავთ?! ზნაჩიტ ჩემი ნება-რთვით ყოფილა... მე კი მეგონა რომ... არა... იცი რა გითხრა ჩემო ბიძია! ოღონდ თავს ნუ დამიკარგავთ და მოგება ღმერთმა შენ მოგახმაროს... ახლა ქაღალდი უფრო ძვირი ღირს ვინემ რომელიმე ლექსი ან დრამა.. თითო ცალი მაგ ლექსისა მე თითონ ოთხი კაპეიკი მიზის... რომ გაყიდო ჩემო ბ ძია, ყოველ ლექსზე 1 კაპიკი შენი იყოს... —შენზე კიდევ რამდენი თვლება? შეეკითხა მგოსანი და ცხრა კაპიკი ჩაუჩხრიალა.

— ჩემზე კიდ... ჩემო ბატონო თვლება ცხრა-ასი ცალი, უპასუხა კონდუქტორმა

— კეთილი... წადი და ეცადე

— აი, ძმაო ერასტი, როგორც დაინახე თურმე ჩემი ნებართვით ყოფილა, მაგრამ ღმერთია მოწამე არა მოგების თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ იმ ხარჯის ასანაზღაურებლად, რომელიც ამ ლექსის ფურცლებათ გამოცემამ გამოიწვია და გთხოვ ასევე გადასცე ქართველ ერს.

სიამოვნებით ვასრულებ მგოსნის თხოვნას.

მწვანეყვავილელი.

ᲧᲝᲕᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲖᲠᲘ“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი; Тифлисъ почт. ящ 199 Евгенію Илларіоновичу Урушадзе.

კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15

ᲧᲝᲕᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲚᲘᲢ. ᲓᲐ ᲡᲐᲰᲝᲚᲘᲢ. ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ“

ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 5 კ. 3 თვ. 2 მ 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Газ. „Сахалхо Пурцели“ почт. ящ. 190

ᲡᲐᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲗᲔᲛᲘ“

გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ფასი: წლით 2 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 1 მ. 25 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Ольгинская ул. № 4

24 მაისიდან თბილისში გამოვა ნატვლად ყურნალ „კლდისა“ ყოველდღიური გაზეთი

„საქართველო“

ასი წლის დამლევამდე 5 მანეთი „კლდის“ ხელის ომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ ადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.

ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4.

რეოაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი.

ოველკვირეული სათეატრო და სალიტერატურო ყურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 10 კ.

ადრესი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“

Іосифу Имедашвили

ოველ ოვიური საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი

„ჯეჯილი“

მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კ.

ადრესი: Тифлисъ, ред, Журнала „Джеджили“

Артиллеріиская ул. № 5.

დასურათებული საყმაწვილო ყურნალი

„ნაკადული“

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ

24 წიგნი ნაკადულისა მცირე წლოვანთათვის | 12 წიგნი ნაკადულისა მოზრდილთათვის

ფასი: ორივე გამოცემისა წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის 24 წ. 3 მ. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ.

ადრესი: Тифлисъ, Ред. „Накадули“ Голов. просп. № 8

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ ახვლედიანისა.

---

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკასკოე სლოვო“, „ობილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт.ящ. № 21, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ბარონის ქუჩა, № 15.

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ხლაპრები, არაკები, შარადები, გამო ანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ყუნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები. ✦

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ

С. Р. Таварткиладзе.
Баронская 15,
Почтов. ящ. № 12.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისთვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

გაუმაძღარი

სიკვდილი. ნეტავ არა კმარა?!

ნებადართულია სამხ. ცენზ. სტამბა ამხ. „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე